... ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 36 (2079) კვირა, 8 სექტემბერი 1985 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## დღეს ნომერში:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ფოტორეპორტაჟი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტიდან

(1-ლი გვ.)

ჩვენი გამოსვლის კვალდაკვალ

(მე-2 გვ.)

ალკოჰოლი — სამართალდარღვევების მიზეზი — სტატია ეძღვნება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებს ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინაამდეგ ბრძოლაში

(მე-3 გვ.)

ფოტორეპორტაჟი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმ „კოლხეთიდან“

(მე-4 გვ.)

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს მორიგი სხდომები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ გენერალური დირექტორის, სკკპ წევრის ამხ. ზ. ყრუაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვაში საწარმოო გაერთიანებების უფლებათა გაფართოებისა და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტი, და გაერთიანების ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა დაამთავრონ მიმდინარე წელს იმ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, რომელთა მიზანია საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა, გააძლიერონ მუშაობა ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზის დანერგვისა და სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების შექმნისათვის.

შეჯამდა კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1985 წლის პირველი ნახევრის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური შეჯიბრების ამავე პერიოდის შედეგები. ამ საკითხებზე მიღებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში დაშვებული უხეში დარღვევების საკითხი. როგორც შემოწმების შედეგად გამოირკვა, მომავალი აბიტურიენტების ცალკეული მშობლები, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უკანონო ხელშეწყობის მეოხებით, თავიანთ შვილებს აწყობდნენ თანამდებობებზე, რომლებიც არ შეიძლება დაიკავონ მოსწავლეებმა, პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მიღების მიზნით, რაც იძლევა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის უფლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პროტექციონიზმის ფაქტების დაშვების, თავიანთი შვილების აღზრდისადმი მცდარი, კომუნისტებისა და ხელმძღვანელებისათვის შეუფერებელი დამოკიდებულების გამო მკაცრად დასაჯა მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები. ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ განიხილონ ყველა მშობლის, აგრეთვე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელების უმკაცრესი პარტიული პასუხისმგებლობისა და თანამდებობებზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს დადგენილი წესის უხეში დარღვევა და პროტექციონიზმი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა შრომითი მოწყობის საქმეში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია აბიტურიენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვასთან და უმაღლეს სასწავლებელში მათ ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ფორმალური დამოკიდებულება. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიას წინადადება მიეცა განიხილოს ეს საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა პარტიის ბოლნისის რაიკომის ანგარიში 1984 წლის 21 ივნისს გამართული რესპუბლიკის პარტიული აქტივის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის შესახებ. მიჩნეულია, რომ არასაკმარისია პარტიის რაიკომის მუშაობა და იგი სრულად არ შეესაბამება პარტიული აქტივის კრების მოთხოვნებს.

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომს დაევალა რაიკომის პლენუმზე განიხილოს მშრომელთა მიმართვებზე მუშაობის სრულყოფისათვის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები და განახორციელოს არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის ქმედითი ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის მთელი ორგანიზაციისათვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ფართოდ გამოიყენონ მშრომელთა კითხვებზე პასუხისათვის ადგილობრივი პრესა. ღრმად გააანალიზონ მიღებული წერილებისა და განცხადებების ხასიათი, რათა შეისწავლონ მწვავე, ადამიანებისათვის საჭირბოროტო საკითხების შესახებ საზოგადოებრივი აზრი, გაითვალისწინონ მასების გაზრდილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობასთან დაკავშირებით.

განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ქალაქ სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილებასა და პროკურატურაში საგამოძიებო მუშაობის მდგომარეობა და რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მის გამოსაკეთებლად მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევების წინაამდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, რომელმაც არასაკმარისად მიიჩნია ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა, ქალაქ სოხუმის პროკურორს ამხ. ზ. ბარციცსა და შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსს ამხ. ს. ტუნგიას მიუთითა, რომ დაბალია ზედამხედველობის დონე და არადამაკმაყოფილებელია დანაშაულობათა გამოძიების ხარისხი, და მოსთხოვა განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა გააუმჯობესონ საგამოძიებო მუშაობის ორგანიზაცია, აღმოფხვრან ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, რომელმაც განიხილა № 154 სამშენებლო პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლის ფრიადოსანთა გამოშვების პრაქტიკის შესწავლის შედეგები, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაავალა განახორციელოს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხებზე.

# „მგზს“-ის ოფიციალური განყოფილება

**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამნაშავეთა გამოსავლენად გატარებული ღონისძიებებისა და საგამომძიებლო მოქმედებების საზრიანად გატარებისათვის მადლობა გამოეცხადათ:

ყაზბეგის შს რაიგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს მ. ბადაგაძეს; სახელმწიფო ავტოინსპექტორს, უფროს ლეიტენანტს რ. მარსაგიშვილს; მორიგე ინსპექტორს, უფროს ლეიტენანტს ი. ელოშვილს; საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორს, მილიციის სერჟანტს ე. ალიბეგაშვილს; მილიციის სერჟანტს, ბ. ქუშაშვილს.

ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ:

უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ა. ნარიმანიძე; გამომძიებელი, კაპიტანი ლ. ჩქარეული; მორიგე ინსპექტორი, რიგითი თ. ჩქარეული.

# «У НИХ ВСЕ ЕЩЕ ВПЕРЕДИ...»

На Тбилисском факультете Московской высшей школы милиции МВД СССР начался новый учебный год.

Наш фоторепортаж отражает всего один день учебы в школе. Но как насыщен этот день. Слушатели изучают множество научных дисциплин: марксистско-ленинскую философию, этику, эстетику, психологию, криминалистику и многие другие науки, без которых будущим стражам порядка не обойтись в их трудной службе.

Слушатели высшей школы изучают курс криминалистики, которую им преподает полковник милиции Гиви Иосифович Шавгулидзе.

Внимание уделяется также и строевой подготовке. Вот перед нами проходит строевым маршем группа слушателей. Еще не тверд их шаг, нет подтянутости. «Это — первокурсники, — поясняет заместитель начальника школы, майор милиции Игорь Викторович Ша-



Много внимания уделяется и физической подготовке. Нередко этим парням придется вступать в рукопашную схватку с вооруженными бандитами.



Преступник, а тем более современный преступник — это не какой-нибудь примитив. Он хитер, коварен и в любую секунду готов на самые подлые действия. Большинство преступлений совершаются им «чисто», то есть без следов. На месте преступления он не оставляет серьезных улик. И надо представить себе, каким



знанием криминалистики должен обладать следователь, чтобы раскрыть преступление, когда единственная улика, которая у него есть — это окурок сигареты или измятый автобусный билет. Поэтому так внимательно слу-

рапов, — им еще совершенствоваться и совершенствоваться, у них все еще впереди».

Ну, что ж, успешной вам учебы!

**Г. КОРДЗАДЗЕ.**
Фото **С. Сычева.**

პარტიული ცხოვრება

# საანგარიშო-საარჩევნო კრება

**ახლახან,** თბილისის 1 მაისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში ჩატარდა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელმა, კომუნისტმა ხ. ხიზანიშვილმა. მან აღნიშნა, რომ გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით შემცირდა სისხლის სამართლის, მათ შორის მძიმე სახის დანაშაულთა რაოდენობა. გავლილი პერიოდის შედეგებით თბილისის არასრულწლოვანთა ინსპექციებს შორის 1 მაისის რაიონის ქვეგანყოფილებამ მეორე ადგილი დაიკავა. სამსახურებრივ მოვალეობას წარმატებით ასრულებენ: გ. გენგაშვილი, გ. ბუჩუკური, ა. ჩომახიძე, ი. გალუსტოვი. მაგრამ აქვე ითქვა, რომ რაიგანყოფილებას აქვს რამდენიმე ძველი გაუხსნელი საქმე.

კამათში მონაწილეობდნენ და აზრი გამოთქვეს კომუნისტებმა: ი. ერემიანმა, ი. გალუსტოვმა, ნ. დოლიძემ, გ. გენგაშვილმა, დ. გოგეშვილმა. გამომსვლელებმა, ილაპარაკეს რაიონში დანაშაულობათა აცილება-აღკვეთისათვის გაწეულ მუშაობაზე, კომუნისტის პირდაპირობით ამხილეს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

კრებას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტიკური განყოფილების უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი ო. გოქაძე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელად აირჩიეს კომუნისტი დ. გოგეშვილი, ხოლო მოადგილედ კომუნისტი დ. ფანჩულიძე.

კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**ნ. დოლიძე,**
**1 მაისის შს რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის მაიორი.**

# ჩვენი გამოსვლის კვალდაკვალ

**1985** წლის 12 ივლისის გაზეთ „მებრძოლ გუშაგში“ გამოქვეყნდა წერილი „კომენდატურა მოქმედებს“, სადაც აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 19 ივლისს ქ. ქუთაისში, რესპუბლიკის შს სამინისტროს კომენდატურისა და „მებრძოლი გუშაგის“ ერთობლივმა რეიდმა გამოავლინა განაწესში მყოფ თანამშრომელთა მიერ ფორმის ტანსაცმლის ტარების წესების დარღვევები, რის შესახებაც მიეთითათ დამრღვევ მუშაკებს და ეცნობათ შესაბამის შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა უფროსებს სათანადო ზომების გასატარებლად. დამრღვევთა შორის იყვნენ შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების მუშაკები — მილიციელები მ. კუბლაშვილი და ჟ. გიორგაძე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ტყიბულის შს საქალაქო განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი თ. ცქიფურიშვილი გვატყობინებს: **განყოფილების მთელი პირადი შემადგენლობის პრინციპული და მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა მილიციელების მ. კუბლაშვილისა და ჟ. გიორგაძის მიერ განაწესში ყოფნის დროს გამოჩენილი უპასუხისმგებლობა და უყურადღებობა.**

**მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ მ. კუბლაშვილმა და ჟ. გიორგაძემ გულწრფელად აღიარეს ჩადენილი დარღვევა და პირობა დადეს ამხანაგების წინაშე, რომ მომავალში მათი მხრიდან ადგილი არ ექნება არავითარ დარღვევას — გამოუცხადა საყვედური.**

**მკაცრად იქნენ გაფრთხილებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი ინსპექტორი ჯ. გვენეტაძე და არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი გ, ყვავაძე. მათ მიეთითათ მაქსიმალური ყურადღება დაუთმონ მუშაკთა ფორმის ტანსაცმლის მოწესრიგებულობას, მხედრულ გამართულობას და სასიამოვნო გარეგნულ სახეს; გაატარონ საჭირო პრაქტიკული ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.**

**ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობა მომავალში განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს პირადი შემადგენლობის ყოველი მუშაკის მიერ დადგენილი ფორმის ტარების წესების დაცვას სადისციპლინო წესდების მოთხოვნების შესაბამისად.**

სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი რ. მემანიშვილი გვატყობინებს:

**19 ივლისს ქუთაისში ფორმის ტარების წესების დამრღვევთა შორის გამოვლენილი იყვნენ სამტრედიის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი რ. კოხრეიძე და არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების მილიციელი გ. ხელაძე. ორივე თანამშრომელი მკაცრად იქნა გაფრთხილებული. ამის გარდა პირადი შემადგენლობის კრებაზე მკაცრად იმსჯელეს გ. ხელაძის საქციელზე, რომელიც საზოგადოების თავშეყრის ადგილზე ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი დაისაჯა ადმინისტრაციული წესით.**

ВНИМАНИЕ: ПРОБЛЕМА

# НЕ ТОЛЬКО НА ТРАССЕ

Как известно, наряду со многими вопросами в обязанности сотрудников ГАИ входит проверка состояния сельскохозяйственной техники, точнее той ее части, которая относится к автомобильному транспорту. О необходимости коренного улучшения положения дел с использованием автотранспортных средств и горюче-смазочных материалов в отраслях агропромышленного комплекса говорилось в известном постановлении ЦК КПСС и Совета Министров СССР. Руководствуясь им, сотрудники госавтоинспекции всей нашей страны систематически проверяют техническое состояние и выполнение правил работы грузового автомобильного транспорта, занятого в системе сельхозпроизводства.

Работа эта ведется и в нашей республике. Как свидетельствуют данные рейдов Управления госавтоинспекции Грузинской ССР, в целом на предприятиях и в организациях несколько улучшилось использование автотранспортных средств. Однако во многих из них еще имеются серьезные недостатки в использовании автомобилей и горюче-смазочных материалов. По-прежнему велики сверхнормативные простои и пустые пробеги машин, многие из них используются не по назначению.. Что же касается экономии горючего, то значительная часть автомобилей работает с неисправными и неопломбированными спидометрами.

Сейчас, когда приближается горячая пора сбора осеннего урожая, проблема эта становится особенно острой. Ведь от того, насколько быстро удастся перевезти выращенные продукты, во многом зависит успех выполнения государственных плановых заданий...

Давайте посмотрим, каким образом решается эта проблема нашими подразделениями ГАИ и каковы результаты проделанной работы. К примеру, среди объектов, которые были проверены за последнее время — Ванское районное объединение «Сельхозхимия» в селе Бзвани Ванского района. Из пяти выходивших на дневную работу грузовых машин три оказались в технически неисправном состоянии!

А вот гараж Амткельского животноводческого совхоза. Здесь нет графика заявки на текущий ремонт, а в технические паспорта не внесен пробег автомобилей еще с первого квартала 1984 года. Как и в большинстве проверенных хозяйств, на путевых листах не отражено движение горючего и не выводится остаток, расход и перерасход, его экономия.

Здесь надо остановиться. А что же было раньше, до этого рейда? Неужели же тот факт, что нарушения происходят еще с прошлого года, никем не был замечен, прежде всего теми же сотрудниками автоинспекции! По всей вероятности, просто напросто отсутствовало самое необходимое — постоянный контроль со стороны местных, районных подразделений ГАИ.

Совсем недавно было проверено автохозяйство Цхалтубского межрайонного объединения «Сельхозхимия». Хотя графики техобслуживания автомашин в этой организации существуют, но они никем не соблюдаются. Как и в предыдущих случаях, ремонтом занимаются сами водители. Из 46-ти машин разных марок на территории гаража 8 стояли в неисправном состоянии, в ожидании ремонта, а из 5-ти грузовиков, которые с утра выезжали на работу, два оказались в том техническом состоянии, что покидать гараж просто не имели права.

При проверке тбилисской автоколонны № 2678 у многих машин не работали спидометры. Не был апломбирован спидометр у 8-ми из 9-ти проверенных автомобилей Тетрицкаройского животноводческого совхоза. Все девять машин были в технически неисправном состоянии. Надо добавить, что всего их в хозяйстве 16, только остальные давно простаивают в ожидании ремонта...

Можно было бы и дальше продолжить список объектов, отличающихся одними недостатками в интересующих нас вопросах, но это ни к чему. Волнует другое — насколько эффективны принимаемые ГАИ меры. Дело в том, что обязанность следить за состоянием сельхозтехники частично возложена именно на сотрудников госавтоинспекции. То, что касается тракторов, комбайнов, чаесборочных и других машин — это дело госкомитета по сельхозпроизводству. А вот грузовыми и другими нужными колхозам и совхозам автомобилями иногда подолгу не занимается ни одна, ни другая сторона... Во всех приведенных примерах организованные рейды были проведены не случайно, а главное — не запланированно. Необходимость их была вызвана сообщениями о происшествиях, участниками которых стали грузовые и другие машины тех самых автохозяйств. Это похвально для тех, кто вовремя отреагировал на случившееся. Но что, если бы сообщений не было. По-видимому, не было бы и проверок. А ведь к каждому району республики, к каждому территориальному участку прикреплены сотрудники ГАИ, дело которых не только работа «на трассе», но и систематический контроль за работой автохозяйств, расположенных на их территории.

Кроме того, организация рейдов, проводимых республиканской госавтоинспекцией, не должна носить стихийный характер. Возможно, проверки должны предшествовать крупным сельскохозяйственным кампаниям. А проведение их носить профилактический характер, а не быть следствием автомобильных происшествий и катастроф. Впрочем, решение этих вопросов — дело республиканского Управления ГАИ, которому, возможно, придется несколько пересмотреть саму форму выполнения задач, поставленных перед ними Постановлением ЦК КПСС.

**Н. ГВАРАМИЯ.**

# ПРОГНОЗИРОВАНИЕ ПРЕСТУПНОГО ПОВЕДЕНИЯ

Иной точки зрения совершенно справедливо, по нашему мнению, придерживаются те исследователи, которые широко привлекают психологические исследования и методы для изучения объекта индивидуального криминологического прогнозирования. Необходимость такого широкого привлечения психологического исследования для целей индивидуального прогнозирования является еще одной специфической особенностью изучения его объекта.

Следующую специфическую особенность индивидуального прогнозирования выражает небходимость постановки и решения нравственных проблем, возникающих в процессе разработки и предъявления индивидуальных прогнозов. Думается, что объекты других видов социального прогнозирования, если и нуждаются в решении этих вопросов, то в меньшей степени и в другом аспекте.

Проблема нравственности индивидуального прогнозирования — это прежде всего проблема ответственности предиктора, т. е. лица, осуществляющего разработку прогноза, не только перед обществом, но и перед объектом прогностического исследования. Эта ответственность находит свое выражение, во-первых, в качестве разрабатываемого прогноза (его достоверность, точность и другие параметры); во-вторых, в требованиях к предъявлению полученных результатов. Указанные требования направлены на то, чтобы полученная предиктантом (объектом индивидуального прогнозирования) информация повлияла на него эффективным образом. Другими словами, предъявляемые результаты должны способствовать самоорганизации позитивного и саморазрушению негативного прогноза.

Развивая далее представление о специфике объекта индивидуального прогнозирования, следует указать на традиционное деление прогнозов по периоду их упреждения. Так, обычно выделяются оперативный, краткосрочный, среднесрочный, долгосрочный и дальнесрочный прогнозы. Подобная классификация принята и в криминологическом прогнозировании, в частности, когда его объектом охватывается индивидуальное преступное поведение. Однако с большим основанием можно говорить о применении временных интервалов для прогнозирования будущих состояний предиктанта. Что же касается прогноза поведения, то он может и не иметь четко фиксированного периода упреждения. Так, например, прогноз о том, что предиктант не состоятелен принять эффективное решение в сложной ситуации, может осуществиться завтра, через год или несколько лет, либо не осуществиться никогда, причем достоверность полученного прогноза от этого не страдает.

Описанные выше особенности объекта индивидуального прогнозирования позволяют использовать методологические основания последнего и для целей прогнозирования преступного поведения. Создание методологии индивидуального прогнозирования и овладение ею поможет внести ясность в проблему точности и достоверности прогнозов в отношении поведения конкретного человека, решить вопрос о допустимых периодах упреждения возможности целенаправленного использования субъективного фактора и прочее.

**А. ЗЫРЯНОВ.**

**(Окончание. Начало см. в номере за 1 сентября).**

# ცოდნის დღესასწაული

**ახალი** სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით შრომა-გასწორების დაწესებულებაში, სადაც უფროსია შ/ს კაპიტანი რ. ანდღულაძე, იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, შ/ს პოლკოვნიკი ბ. კარტოზია, უფროსი ინსპექტორი, შ/ს ლეიტენანტი ი. ჟილიაევი. მათ დაათვალიერეს სკოლის შენობა, რაზმეულების პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის საკლასო ოთახები.

სკოლაში ჩატარდა გაფართოებული პედაგოგიური საბჭო. პედსაბჭოზე სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ა. ბერიძე, რომელმაც პედაგოგებსა და აღსაზრდელებს მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება, წარმატებები უსურვა სწავლასა და შრომაში. პედაგოგების სახელით სიტყვით გამოვიდა აღმზრდელი, შ/ს ლეიტენანტი ნ. ცხომელიძე.

პედსაბჭომ განიხილა სკოლის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები. პედსაბჭოს დამთავრების შემდეგ დაწესებულების პედაგოგებმა და აღსაზრდელებმა თავი მოიყარეს სპორტულ მოედანზე, სადაც გაიმართა მიტინგი. მიტინგზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს აღსაზრდელებმა. შემდეგ ყველამ ერთად მიაშურეს საკლასო ოთახებს.

**ა. გოგოლაძე.**

**სურათზე:** მიმდინარეობს გაფართოებული პედაგოგიური საბჭო.
ავტორის ფოტო.



# Алкоголь — причина правонарушений

**Лицо, злоупотребляющее спиртными напитками, является потенциально опасным субъектом, склонным к правонарушениям и преступлениям, в том числе и тяжким. Этот вывод подтверждает статистика.**

У нас в Юго-Осетинской автономной области большинство преступлений по линии уголовного розыска до недавнего времени совершалось лицами, находившимися в состоянии алкогольного опьянения. За первое полугодие преступления этой категории в основном совершили лица, находившиеся в нетрезвом состоянии.

В постановлении ЦК КПСС о мерах по преодолению пьянства и алкоголизма подчеркнута необходимость придать работе по борьбе с пьянством подлинно массовый характер. В связи с этим мы в корне пересмотрели свою деятельность по профилактике пьянства и алкоголизма, а также по осуществлению деловых контактов с общественными формированиями, призванными помогать милиции в ее повседневной работе.

Анализ практики свидетельствует о том, что работа эта до сих пор строилась неудовлетворительно, в ней было немало формализма, показухи. Это касается прежде всего взаимодействия органов внутренних дел автономной области с общественными формированиями. Разработав, обсудив и приняв еще 30 мая на открытом партийном собрании первичной парторганизации УВД Юго-Осетинского облисполкома комплексный план усиления борьбы с пьянством и алкоголизмом, мы, работники милиции, взялись за его последовательное претворение в жизнь. Однако здесь следует сказать, что наша работа была бы куда более эффективной, если бы она находила поддержку со стороны каждого трудового коллектива, каждого руководителя.

В постановлении ЦК КПСС указано, что долг каждого коммуниста, каждого руководителя — показать личный пример активной борьбы с пьянством. Однако как, например, может бороться против пьянства и нарушений на его почве трудовой и производственной дисциплины на Ередвском предприятии по добыче и переработке щебня и. о. директора Роман Джиоев, если он сам лишен водительских прав сроком на 1 год за управление автомобилем в нетрезвом состоянии? И это, к сожалению, далеко не единичный пример, когда руководитель коллектива или профессиональный воспитатель сам злоупотребляет спиртным. Так, заведующий клубом в поселке Джава Маир Кабисов оштрафован Джавским РОВД на 20 рублей за появление в общественном месте в нетрезвом состоянии. Были доставлены в отделы милиции за появление в общественных местах в нетрезвом состоянии и педагог ленингорской средней школы Анзор Хрикули, его коллега из знаурской средней школы Шота Янтберидзе, являющийся, кстати, членом партии.

Накануне вступления в силу нового закона по усилению борьбы с пьянством, 30 мая, между проходчиками Квансского рудоуправления Владимиром Кулагиным и Сергеем Степановым, вместе выпивавшими, возникла ссора. В результате Кулагин нанес Степанову удар в область головы, от которого тот скончался. Этой драмы не произошло бы, если бы руководство Квайсского рудоуправления, его партийная и профсоюзная организации серьезнее бы вели борьбу с пьянством и алкоголизмом, если бы руководители Джавского РОВД (В. Букулов, И. Чехоев) правильно организовали профилактическую работу в пос. Кваиса, на что им неоднократно указывалось.

Цель милиции и трудовых коллективов, общественных формирований — создать единый фронт борьбы с пьянством и алкоголизмом. Однако при подобном отношении иных руководителей к этому вопросу, когда они не считают нужным уведомить органы внутренних дел, какие меры были приняты к нарушителям, понесли ли те какое-либо наказание за свое антиобщественное поведение, единый фронт создать будет очень трудно.

...Еще не так давно в г. Цхинвали, разных населенных пунктах автономной области можно было увидеть, как перекрываются проезжие части улиц, переулков, где накрываются столы для устройств многолюдных поминок.

В настоящее время руководством Управления внутренних дел облисполкома четко проинструктированы сотрудники, весь личный состав органов милиции на местах о задачах по борьбе и профилактике пьянства и алкоголизма. В плановом порядке проводятся мероприятия по изъятию у населения аппаратов для выработки самогона, по борьбе с нарушениями правил реализации алкогольных напитков и т. д. Акцентировано внимание на недопущение фактов нарушений законности со стороны самих сотрудников органов внутренних дел, полномочия которых новым законодательством значительно расширены. Каждый сотрудник милиции, который допустит нарушение законности, будет уволен из органов внутренних дел, а его непосредственный начальник — строго наказан.

Каковы же результаты первых месяцев борьбы за искоренение пьянства и алкоголизма в Юго-Осетии? Произошло заметное снижение удельного веса лиц, совершивших преступления в состоянии алкогольного опьянения. Торговлей области в целом удовлетворительно соблюдаются новые правила реализации спиртных напитков.

Заметно усилилась и борьба с самогоноварением. В результате подворного обхода домов сотрудниками органов внутренних дел области у населения изъято 38 аппаратов для изготовления самогона, тогда как за тот же период минувшего года было изъятно только 5 аппаратов.

В заключение хочу добавить, что нам, сотрудникам милиции, предстоит еще многое сделать для искоренения пьянства. Работа эта, базирующаяся на первом накопленном опыте, будет и впредь вестись настойчиво, системно и принципиально, как того сегодня требуют партия и правительство.

**К. ГАЗЗАЕВ,**
**заместитель начальника Управления внутренних дел Юго-Осетинского облисполкома, полковник милиции.**

# მონდომების შედეგი

**მნიშვნელოვანი** ღონისძიებები გატარდა — არასაუწყებო დაცვის განყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის რეორგანიზაციის და კალინინის სახ. რაიონის ექსპერიმენტის ჩატარების შესასრულებლად.

1985 წლის პირველი აპრილისათვის ვიცავდით სახალხო მეურნეობის 408 ობიექტს, მათ შორის სიგნალიზირებული იყო 290 ობიექტი, პულტზე ჩართული იყო 214 და მილიციის მარშრუტზე განლაგებული იყო 80-მდე ობიექტი, განცალკევებული იყო 645 ობიექტი, მათ შორის სიგნალიზირებული იყო 265 ობიექტი.

გატარდა მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებები მილიციის მარშრუტებზე განლაგებული 80 ობიექტის პულტზე გადასაყვანად. ყველასათვის ცნობილია თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული მათი პულტზე გადაყვანა, უმრავლესობას ტელეფონის ნომერი არ გააჩნდა, მაგრამ მონდომებულმა შრომამ შედეგი მოგვცა, გაყვანილი იქნა დამატებითი კაბელები, ობიექტამდე მიყვანილი იქნა სატელეფონო ხაზები და ყველა ობიექტი ჩართული იქნა პულტზე. გარდა ორი უმნიშვნელო ობიექტისა, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩაირთვება.

დღეისათვის ვიცავთ სახალხო მეურნეობის 430 ობიექტს, მათ შორის ცენტრალური დაცვის პუნქტის საშუალებით სახალხო მეურნეობის 330 ობიექტს.

შედგენილი იქნა ზონალური ჯგუფებისათვის ობიექტების დისლოკაცია, მოძრაობის მარშრუტი, მიმდინარეობს ბარათების განახლება, შეკეთებულია ავტომანქანები და მოტოციკლეტები, დამონტაჟებულია ახალი რადიოსადგურები.

**ჯ. გაფრინდაშვილი,**
**კალინინის სახ. რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

# ათეისტური პროპაგანდა ქმედითი რომ იყოს

**თანამედროვე** პირობებში მიმდინარეობს ორი საზოგადოებრივი სისტემის, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიის დაძაბული ჭეშმარიტად გლობალური ბრძოლა. იმპერიალისტური რეაქცია, უწინარეს ყოვლის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, მისი ბურჟუაზიული პროპაგანდა არ ერიდებიან სიცრუესა და ცილისწამებას, ყოველნაირად ცდილობენ ჩირქი მოსცხონ სოციალისტურ წყობილებას, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და იდეურ ერთიანობას. აი რატომ მოითხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა „ფართოდ გავშალოთ შეტევითი კონტრპროპაგანდისტული მუშაობა არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც.".

პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია ადამიანთა შეგნებაში მეცნიერული, მატერიალისტური შეხედულებების, ათეისტური მრწამსის დამკვიდრებისათვის ზრუნვა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ფართო, ყოვლისმომცველი ათეისტური პროპაგანდა, თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების უნარიანი გამოყენება.

საზოგადოება „ცოდნის" აჭარის რესპუბლიკურმა, ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონულმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ორგანიზაციებმა, ბათუმის პლანეტარიუმმა მეცნიერულ-ათეისტური ცოდნის პროპაგანდის საკმაო გამოცდილება შეიძინეს და ამ საქმეში საგრძნობი წარმატებაც მოიპოვეს.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს ვითვალისწინებთ, რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ განიცდის რელიგიური მსოფლგაგების გავლენას, ასრულებს რელიგიურ წეს-ჩვევებს, მონაწილეობს რელიგიურ დღესასწაულებში. ისინი გაერთიანებული არიან სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა თემებში, ორგანიზაციებში, რომელთა ხელმძღვანელებმა და აქტიურმა წევრებმა ბოლო დროს შეცვლილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად შეცვალეს სინამდვილისადმი დამოკიდებულება. მოდერნიზმი შეეხო საეკლესიო ცხოვრების ყველა მხარეს, ყველაზე დოგმატიკურ და ტრადიციულად უცვლელ საკულტო სამსახურსაც კი.

რელიგიური მოდერნიზმი რელიგიისა და ეკლესიის მიერ კრიზისული მდგომარეობიდან თავის დახსნის იძულებითი პროცესია. ამავე პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა კულტის მსახურთა და აქტიური საეკლესიო მოღვაწეების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა, ოპტიმალურ საშუალებათა ძიება.

ამა და სხვა ღონისძიებათა მეშვეობით რელიგიურმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს თავიანთი საქმიანობის ერთგვარ გამოცოცხლებას. მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის წარმართვისას ვითვალისწინებთ რელიგიური მოდერნიზმის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს, ვაანალიზებთ მოსახლეობის რელიგიურობის რეალურ მდგომარეობას. პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს გარემოება, რომ თანამედროვე მორწმუნე — ეს ჩვენი საბჭოთა ადამიანი, რომელიც მონაწილეობს სოციალურ გარდაქმნებში, იზიარებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. მან კარგად იცის, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში კანონით შეუზღუდველი უფლებები აქვს და შეუძლია დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნები.

ჩვენი ლექტორები აკრიტიკებენ მოძველებულ შეხედულებას, რომ რელიგიურ გაერთიანებათა წევრები ძირითადად პენსიონერები, გაუნათლებელი და დროებით უმუშევარი ადამიანები არიან. როგორც სოციალურ გამოკვლევათა შედეგები და თვითონ პრაქტიკა ადასტურებს. უკანასკნელ დროს მრევლის შემადგენლობაში იმატა საშუალო ასაკის, წარმოებაში დასაქმებული ადამიანების, ახალგაზრდობის რიცხვმა. რაც შეეხება საერთო განათლებას, ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ნაკლებად თუ მოიძებნება წერა-კითხვის უცოდინარი, გაუნათლებელი ადამიანი. რელიგიურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა შეძლეს კულტის მსახურთა კადრების განახლება, არსებული რელიგიური სასწავლებლების საშუალებით საეკლესიო დაწესებულებათა მომზადებული კადრებით დაკომპლექტება. რასაკვირველია, ეს გარემოებანი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აღარ გვიხდება ლაპარაკი რელიგიისა და ეკლესიის კრიზისზე თანამედროვე პირობებში, მაგრამ ამ დემოგრაფიული ცვლილებების გაუთვალისწინებლობა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის წარმატებაზე უარყოფითად მოქმედებს.

„ცოდნის" ორგანიზაციები, ლექტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ მტრულ ბურჟუაზიულ — პროპაგანდისტულ საშუალებათა შორის გარკვეული ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობას, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის არასწორ, დამახინჯებულ ინტერპრეტაციას. ბურჟუაზიულ-კლერიკალური წრეები საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს საბჭოთა კავშირში არ არის რელიგიური რწმენის სრული თავისუფლება, კულტის მსახურებსა და მორწმუნეებს დევნიდნენ, ხორციელდებოდეს ეკლესიების სრული ლიკვიდაციის ფარული გეგმა და ა. შ.

**ჯ. ჩხეიძე,**
**საზოგადოება „ცოდნის" აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

(დასასრული შემდეგ ნომერში).



# ФОТОРЕПОРТАЖ
# ОТДЫХ У МОРЯ

Этот живописнейший уголок земли будто создан природой специально для отдыха. И действительно, он дарит возможность полной разрядки от долгой и сложной



работы в течение года. Солнце и море, своеобразие природы и постоянная забота доброжелательных хозяев не могут не радовать гостей, приезжающих сюда на время отпуска. «Колхида», санаторий подведомственный МВД Грузинской ССР, расположился в самом центре курорта Гагра.

С одной стороны здания открывается вид на безбрежную синеву моря, а с другой — на такие же безбрежные кручи покрытых снегом вершин. А главное, эти несочетаемые на первый взгляд пейзажи слились воедино, создавая неповторимую красоту, характерную лишь для этих мест.

На территории санатория, окруженного пальмами, олеандром, кипарисами, есть все, что может занять досуг отдыхающих, способствовать улучшению здоровья и настроения. После утреннего купания и завтрака некоторые из курортников проводят время за игрой в шахматы и шашки.

Начальник санатория майор в/с М. Чантурия ежедневно беседует с отдыхающими, всегда помнит о каждом, кто может нуждаться в дополнительном лечении.



Врач - стоматолог С. Микиашвили работает здесь уже 15 лет. Умелые руки врача, знание своего дела и оснащенный новейшей аппаратурой кабинет оставляют пациентов довольными лечением.

Санаторий «Колхида» в Гагра по праву считается одним из лучших мест для полноценного отдыха сотрудников внутренних дел.

Текст и фото

Т. Тарнэлашвили.



# ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

**ᲘᲣᲜᲘᲝᲠ** ფეხბურთელთა V მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. როგორც მოსალოდნელი იყო ბრაზილიელებმა იოლად დაამარცხეს ნიგერიის ნაკრები — 2:0. ჩვენი ქვეყნისა და ესპანეთის ფეხბურთელთა დაძაბული მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ 2:2. პენალტების სერიით გაიმარჯვეს ესპანელებმა.

# ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე" 1986 წლისათვის.

გაზეთი გამოიწერება მხოლოდ სამსახურის მისამართზე. წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

გაზეთზე ხელმოწერა შეუძლიათ, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, ასევე ნებაყოფლობითი სახალხო და ოპერატიულ-კომკავშირული რაზმეულის წევრებს და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებს.

ხელმოწერისათვის მიმართეთ შესაბამის ადგილობრივ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს.

ფულის გადარიცხვა წარმოებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-საგეგმო განყოფილების ანგარიშზე № 000603105 საქ. კანტორის სახელმწიფო ბანკში.

# К СВЕДЕНИЮ ЧИТАТЕЛЕЙ

**ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ» НА 1986 ГОД.**

Подписка годовая и оформляется только в служебный адрес.

Подписная цена — 3 руб. 12 коп.

На газету могут подписаться как сотрудники органов внутренних дел, так и члены ДНД, ОКОД.

За подпиской обращаться в городские и районные отделы внутренних дел.

Деньги перечислять на счет № 000603105 Грузконторы госбанка ФПО МВД ГССР.

# ЭТО МОГЛО И НЕ СЛУЧИТСЯ

За последнее время увеличилось число дорожно-транспортных происшествий со смертельным исходом. Так 30 августа сего года, в шесть часов утра, на шестом километре дороги Хашури—Боржоми, автомашина «ВАЗ-2106» Ж 0104 ГР, управляемая владельцем Тагвевым Тамазом Владимировичем, 1955 года рождения, жителем города Хашури, опрокинулась в кювет, в результате чего водитель скончался на месте.

31 августа, в 23 часа 30 минут, около села Оснаури, автомашина ГАЗ-66, принадлежащая хашурскому мясокомбинату, управляемая водителем Тибилашвили Борисом Николаевичем, перевернулась. Тибилашвили скончался.

К сожалению, не искоренились полностью дорожные происшествия, которые происходят по вине водителей, находящихся в нетрезвом состоянии. 29 августа, в 19 часов, в селе Сартичала, мотоцикл «ИЖ-Юпитер», управляемый, Маловым Иваном Александровичем, 1952 года рождения, жителем села Красногорск Сагареджойского района, совершил наезд на Гургенидзе Маргариту Иосифовну, 1923 года рождения, педагога сартичальской средней школы № 2. К счастью, пострадавшая осталась жива, но могло произойти и непоправимое. Так почему же должны происходить подобные трагедии? Почему некоторые водители не осознают того, что, садясь за руль в нетрезвом состоянии, они становятся потенциальными преступниками. Пьяный человек опасен, а если он за рулем, то и говорить не приходится, уж слишком хорошо известен финал.

Г. КУТАТЕЛАДЗЕ.

# ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲘᲛᲗᲕᲠᲐᲚᲔᲛ ᲨᲔᲘᲫᲒᲐ

...**ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜ** „აჭარასთან" ორმა შეზარხოშებულმა ახალგაზრდამ მსუბუქი ავტომანქანა გააჩერა და მძღოლს რესპუბლიკურ საავადმყოფოში წაყვანა მოსთხოვა. შემდეგ მარშრუტი შეცვალეს და დიდუბის გზას დაადგნენ. წინ მჯდომმა როგორც კი მძღოლის ხელზე ოქროს ბეჭედი შეამჩნია ბევრი არც უფიქრია დანით დაემუქრა მას და... ბეჭედი ხელზე მოირგო. მძარცველი ამით არ დაკმაყოფილდა — ფული და მაჯის საათი მოითხოვა, მაგრამ მძღოლს რაც არ ჰქონდა რას მისცემდა. მძარცველები დიდუბეში ჩამოვიდნენ, მძღოლს დაემუქრნენ, რომ მოკლავდნენ თუ მილიციაში განაცხადებდა და მიიმალნენ. დაზარალებულს გზაში საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლები შეხვდნენ, რომლებსაც მან მომხდარი ფაქტის შესახებ აცნობა, მძარცველთა გარეგნობა აღუწერა და მათ გაყვა. მილიციის მუშაკებმა: უფროსმა ლეიტენანტმა თ. ვაჩეიშვილმა, უმცროსმა სერჟანტებმა ნ. პირტახიამ და გ. რაზმაძემ ბათუმის ქუჩაზე დააკავეს მძარცველი, ადრე ნასამართლევი მ. მშვილდაძე. თავიდან ბოროტმოქმედი ყველანაირად ცდილობდა თავის დაძვრენას, ბოლოს კი აღიარა — ყველაფერი ღვინომ გამაბედვინაო. ამაში კი უნდა დავეთანხმოთ მ. მშვილდაძეს, სწორედ სიმთვრალემ უბიძგა მას დანაშაულისაკენ.

პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ მძარცველს მიუსაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ხელმძღვანელობამ დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი საზრიანობისა და ოპერატიულობისათვის წაახალისა თ. ვაჩეიშვილი, ნ. პირტახია და გ. რაზმაძე.

ბ. ᲗᲐᲗᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

# „ᲡᲝᲕᲔᲢᲡᲙᲐᲘᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ" № 8

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-მეთოდური ყოველთვიური ჟურნალის—„სოვეტსკაია მილიციის" მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალი ბეჭდავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ფედორჩუკის სტატიას „განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი". რუბრიკით „სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად" გამოქვეყნებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსის ლ. ზვერკოვსკის სტატია „სრულად გამოვიყენოთ უფლებები". სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთავარი რაზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ავტოინსპექციამ ეს არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პროფილაქტიკა და თავიდან აცილება. სახავტოინსპექციამ მკაცრად უნდა მოსთხოვოს სამინისტროებს, უწყებებს, ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონაწილეობა უნდა მიიღონ ამისთვის გამოყოფილი მუშაკების შერჩევასა და სწავლებაში. წერილში „რას ნიშნავს იყო ჩოუხყიდავი" მილიციის თადარიგის პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი ს. ზაიცევი მკითხველს უზიარებს მოგონებებს, იხსენებს ფრონტელ მეგობრებს, შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებს, მოუწოდებს მილიციის ახალგაზრდა მუშაკებს იყვნენ უანგარონი, პატიოსნად გააგრძელონ საბჭოთა მილიციის სახელოვანი ტრადიციები.

ნომერში, „შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელთა დაუსწრებელი სკოლის" სემინარი მიჰყავს მილიციის პოლკოვნიკს ვ. მალკოვს. ჟურნალი ბეჭდავს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, შ/ს პოდპოლკოვნიკის ლ. სავიუკის იურიდიულ კონსულტაციას. ჟურნალში გავეცნობით რეცენზიებს ახალ წიგნებზე, რომელშიც ასახულია მილიციის მუშაკების დაძაბული მუშაობა, საბჭოთა მილიციის ისტორია. ნომერში დაბეჭდილია „სატირული პატრულის მასალები. ჟურნალი იწყებს ე. რუდნევის მოთხრობის „სამი ალმასის" ბეჭდვას.

ნომერში იბეჭდება მილიციის კაპიტანის მ. ბოიკოს წერილი, რომელიც ეძღვნება შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების ფიზიკურ და საბრძოლო მომზადებას.

# ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ამას წინათ რომში დღისით მუზეუმიდან გაიტაცეს XVII საუკუნის, სურათი, რომელიც შეფასებული იყო 50 მილიონ ლირად. რამდენიმე დღის შემდეგ, ამჯერად ღამით ბოროტმოქმედებმა სცადეს მუზეუმის შენობაში შეღწევა, მაგრამ ისინი პოლიციამ შეამჩნია. პოლიციელთა შეძახილებს მათ სროლით უპასუხეს და მიმალვა მოახერხეს.

უძველესი ძვირფასი ნივთების გატაცება იტალიაში კატასტროფულად იზრდება. პოლიციის მონაცემებით 1984 წელს მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან მოიპარეს 8.620 სურათი, ქანდაკება და სხვადასხვა ანტიკვარული ნივთი. იტალიაში შექმნილია კარაბინერთა სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც მოპარული ძვირფასეულობის ძებნას აწარმოებს.

●

**ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲛᲐ** პოლიციელებმა დაიწყეს ნაწერის ელექტრო-გამომთვლელი მანქანის მეშვეობით გამოცნობის სისტემის დამუშავება. გაზეთი „ჯაპან ტაიმსი" იუწყება, რომ მას არ შეუძლია ავტორის ვინაობის გაგება, თუ ხელწერა განზრახ არის შეცვლილი, მაგრამ ექსპერტზე 3-ჯერ უფრო სწრაფად ადასტურებს გაკრული ხელით ნაწერის იდენტურობას.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 06296